

საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.

ჯიბის ნიგნის სერია 10

მედია – კულტურა – საზოგადოება

**დევი დუმბაძე** არის ფილოსოფოსი, ასწავლის სახ-  
ვითი ხელოვნების უმაღლეს სკოლაში, ნიუ-იორკი,  
აშშ. თარგმნის და იკვლევს კრიტიკულ თეორიას,  
განსაკუთრებით თეოდორ ვ. ადორნოს ნააზრევს.  
სა.გა.-ში 2012 წელს გამოქვეყნდა მისი თარგმანი  
»განმანათლებლობის დიალექტიკა. ფილოსოფი-  
ური ფრაგმენტები« (ჰორკჰაიმერი და ადორნო),  
მზადდება ადორნოს »ესთეტიკური თეორიის«  
გამოცემა. იდეოლოგიის კრიტიკას, მისი აზრით,  
მსოფლიოში და საქართველოშიც, ალტერნატივა  
არ გააჩნია.

იდეოლოგია და  
არარეგულარული  
გამოცდილება

პეტერ რეინგის ფილოსოფია,  
ადორნოს იდეოლოგიის პრინციპები

დევი დუმბაძე

თბილისი, 2015

დანართში წარმოდგენილი დევი დუმბაძის თარგმანი  
შესრულებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: Theodor W.  
Adorno: Thesen über Bedürfnis. In: ders., Gesammelte Schriften, Bd. 8. Soziologische Schriften I. Hrsg. von Rolf Tiedemann,  
Frankfurt am Main 1972ff., S. 392-396.

სამეცნიერო რედაქტორები:	დევი დუმბაძე
	თენგიზ ირემაძე
ენობრივი რედაქტორი:	რუსულან ასათიანი
გამომცემელი:	სოსო დუმბაძე
დამკაბადონებელი:	გიორგი ბაგრატიონი

პირველი გამოცემა, 2015

ISBN 978-9941-0-7371-7

ყველა უფლება დაცულია

© საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა., 2015  
[www.sa-ga.org](http://www.sa-ga.org)

## სარჩევი

შესავალი . . . . .	7
»არსებული რელიგია«. იდეოლოგია და არარეგულამენტირებული გამოცდილება ..	15
ძალდაუტანებელი აზრი – თავისუფლების ჰიპოსტასი. გამოცდილება, ადორნოს თანახმად . . . . .	25
შემოპარებული შერიგება – გაწყვეტილი წარ- მავლობა. ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია, იდეოლოგიის კრიტიკაში გადაყვანილი . . . . .	34
ონტოლოგიური დასაბუთება – უტოპიური იდეა. სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის შესახებ . . . . .	71
განდევნილი გამოცდილება – სოციალური სისტემა. მარქსის პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკის მიზანი . . . . .	94
გარდაუვალი ფული – დაუმორჩილებელი მიმეზისი. ხსნის წინაპირობა . . . . .	111
თეოდორ ვ. ადორნო თეზისები მოთხოვნილების შესახებ . . . . .	139



## შესავალი

როგორი გაუგებარია ხოლმე, თუ რისთვის ლირს ბრძოლა! ზოგი მემარცხენისთვის მტერია ნაციონალიზმი. მასში აისახება ხომ კაპიტალის მიერ უშუალოდ დასმული პოლიტიკური სუვერენის რეპრესიულობა. სუვერენი სამოქალაქო სამართლის, ადამიანის უფლებების ფორმას კი უზრუნველყოფს – უკეთეს შემთხვევაში –, მაგრამ ის ნაციონალური ერთობის რელიგიურ დამკვიდრებაში მდგომარეობს – ყველა დანარჩენის წინააღმდეგ. როგორც კარლ შმიტი წერდა, ეს ნაციონალ-სოციალისტი სამართლის ფილოსოფონსი, რომლისგანაც მაინც შესაძლებელია რაღაცის სწავლა, თუმცა მხოლოდ ნეგატიური აზრით, სუვერენი იმ გადაწყვეტილებით ყალიბდება, რომ გამიჯნოს მეგობარი და მტერი და ებრძოლოს მას. პრობლემად კი შმიტთან ის რჩება, რომ ის სუვერენს განიხილავს დამოუკიდებლად და მხოლოდ როგორც ცალკეულ ერთეულს. მას არ სურს აღიაროს კაპიტალის ურთიერთობა, რომლის ნამდვილი არსებობაც – და არა მისი ლოგიკური ფორმა – ყოველთვის მრავლობით რიცხვშია და მხოლოდ რომლის კონტექსტშიც აღმოცენდება თავად სუ-

ვერენიც.<sup>1</sup> კაპიტალი მუდამ მრავალ სხვა კაპიტალთან კონკურენციის პირობებში რეალიზდება.<sup>2</sup> ეროვნული სუვერენიც, თუკი ის საერთოდ ახერხებს ჩამოყალიბებას, ერთ-ერთია მრავალთა შორის: ან ძლიერი, ან არა, ან ალიანსებში მყოფი, ან იზოლირებული, ან ეკონომიკურად მსხვილი, ან სუსტი. ეს მტერი – ერი, ასევე, ნაციონალიზმი, როგორც ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოს იდეოლოგია – კი იქნებოდა ის, რასთან შენინააღმდეგებაც ღირს, რადგან ის არის პოლიტიკური სახე იმ ეკონომიკური ბატონობის გამოვლენისა, რასაც ადორნო გვიანდელ კაპიტალიზმს უწოდებს. გვიანდელის ატრიბუტი კი კაპიტალიზმა იმიტომ დაიმსახურა, რომ, როგორც ვკითხულობთ დანართში წარმოდგენილ «თეზისებში მოთხოვნილების შესახებ», თავისუფალი კონკურენციის გაუქმების პირობებში მან კლასობრივი საზოგადოება შეინარჩუნა. ის, რაც საუკუნის წინ ჯერ კიდევ იყო რევოლუციური მოძრაობების იმედი, მუშათა კლასი, და დღესაც არსებობს, უმეტესწილად, ინტეგრირებული იქნა იმ ეროვნულ ერთობაში, რომლის მესვეურიცაა ნებისმიერი კერძო სახელმწიფო.

1 დევი დუმბაძე: »ლევიათანსა და ბეჭემოთს შორის: მსოფლიო სუვერენის შემლილობა«, In: Tengiz Iremadze (ed.) *Philosophy in Global Change*. Tbilisi 2011, გვ. 354-370.

2 Karl Marx: *Das Kapital*. Bd. II. In: ders., Friedrich Engels: *Werke*. ტ. 24, Berlin 1972.

ის, რომ ამ ინტეგრაციის პირობების გამოკვლევაა საჭირო, კრიტიკული თეორიის წარმომადგენლება უკვე მეორე მსოფლიო ომის დროს გააცნობიერეს.<sup>3</sup> თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მოარული კრიტიკაა, რომ მასში მოთხოვნილებები უნდა გაიმიჯნოს. ერთია მცდარი მასობრივი კულტურის მიერ შექმნილი მოთხოვნილება, ამდენად, ძალაუფლების გამოვლინება, მეორე ნამდვილი სიმპტომი, ჭეშმარიტი სურვილის გამოხატვა, რომელიც ინდივიდუალურად აღიარებასა და უშუალო რეალიზაციას მოითხოვს.<sup>4</sup> ეს პირდაპირი რეალიზაცია ბატონობის სუბვერსიადაც კი განიმარტება – თითქოს მართლაც შესაძლებელი იყოს კერძო მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმ პირობებში, როცა ზოგადად ყველას უწევს შრომა, მაშასადამე, საკუთარი ლტოლვებისაგან განდგომა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მორგება იმისათვის, რომ გადარჩეს. მოთხოვნილების ცნება ადორნოს და ჰორკჰაიმერის ინტერესის ცენტრში 1940-იან წლების დასაწყისში ექცევა, როცა ისინი »განმანათლებლობის დიალექტიკაზე«, განსაკუთ-

<sup>3</sup> დევი დუმბაძე: განმანათლებლობა და კატასტროფა. რატომ არის »განმანათლებლობის დიალექტიკა« აქტუალური. ჰორკჰაიმერი და ადორნო: განმანათლებლობის დიალექტიკა. დევი დუმბაძის თარგმანი. თბილისი 2012, გვ. 271-444.

<sup>4</sup> ob. Slavoj Zizek: Enjoy Your Symptom! Jacques Lacan in Hollywood and Out. New York 2007.

რებით, კულტურის ინდუსტრიის შესახებ თავზე  
მუშაობდენ. თეზისები ადორნომ ლოს ანჯელესში,  
სოციალური კვლევის ინსტიტუტის სხვა წევრებ-  
თან ერთად განხილვისათვის მოამზადა. გაშლილ  
თეორიასთან არ გვაქვს საქმე, არამედ პრობ-  
ლემების ჩამოყალიბებასთან, რომლებიც გადა-  
წყვეტას საჭიროებენ. მაგრამ ნამდვილ მოთხოვ-  
ნილებებთან დაკავშირებით უკვე განხილულია  
ის წინააღმდეგობა, რაც ახასიათებს საერთოდ  
საზოგადოებაში მოთხოვნილებებზე მსჯელობას  
– თუმცა ამავე დროს, არ ხდება ამ წინააღმდე-  
გობების თეორიულადვე გადაჭრა. თუკი მათ რამე  
გადაჭრის, ეს თავად საზოგადოებრივი ურთიერ-  
თობების ცვლილება იქნება. კრიტიკული თეორია,  
დიალექტიკა, რომელიც მიჰყვება საზოგადოების  
ნეგატიური მთლიანობის მოძრაობას, მხოლოდ  
გადმოსცემს წინააღმდეგობებს. ის არ მოგვაჩვე-  
ნებს თითქოს მათი გადაწყვეტა ერთი ან მეორე  
საპირისპირო პოლუსის სასარგებლოდ შესაძლე-  
ბელი იყოს მხოლოდ თეორიაში.

დიქოტომია ეგრეთ წოდებულ ნამდვილ და  
მოჩვენებით მოთხოვნილებებს შორის, ინდივი-  
დის, სავარაუდოდ, გარედან ჩაგრულ შინაგან  
სამყაროსა და სოციალურ ტაბუებს შორის, არსე-  
ბული საზოგადოების დამახასიათებელი მომენ-  
ტია. აქ საზოგადოებრივი აუცილებლობით კერ-  
ძო, ინდივიდი, გამიჯნული ხდება ზოგადისაგან,  
საზოგადოებისგან. სოციალური ურთიერთობები

აიძულებენ მას, იმოქმედოს გარკვეული სახით, მოერგოს მოგების იმპერატივს კაპიტალის მოძრაობისას კონკრეტულ სფეროში, რის შედეგადაც იგი ეწვევა განდგომას და, მეტიც, განდგომას – სურვილების უშუალო აღსრულებაზე უარის თქმას – უკულმართ სიკეთედაც კი მიიჩნევს. მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ბუნება, ადორნოს თანახმად, გაგებული არა ბუნებისმეტყველების ცნების ობიექტად, არამედ წარმავალი მატერიის მოძრაობად, თავად უნდა მოვიაზროთ ისტორიული არსის მქონედ.<sup>5</sup> ამიტომ არის, რომ, სავარაუდოდ, ძირეული მოთხოვნილებები იმთავითვე ნებისმიერ საზოგადოებრივ მდგომარეობაში, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ყალიბდება ამ საზოგადოების ურთიერთობების ზეგავლენით. დღემდე ეს ურთიერთობები ინდივიდის ბუნებრივ ტანს რეპრესიის ქვეშ აქცევენ, აიძულებენ რა მას, გარეგნულად და შინაგანად საკუთარი ლტოლების რეგლამენტირება მოახდინოს.

მოთხოვნილების წინააღმდეგობის გადაწყვეტა თავად წინააღმდეგობრივია, ადორნოს თანახმად. მცდარია თუ არა რაიმე მოთხოვნილება – თავად კაპიტალისტური ურთიერთობების იმპერატივებით და მისი კულტურით თავს მოხვეული თუ

---

5 Theodor W. Adorno: Die Idee der Naturgeschichte. In: Gesammelte Schriften. Hrsg. von Rolf Tiedemann unter Mitwirkung von Gretel Adorno, Susan Buck-Morss und Klaus Schultz (შემდგომში AGS). ტ. 1, Frankfurt am Main 1997, გვ. 345-365, აქ გვ. 355.

თავისუფალი – ეს საკითხი მეორეხარისხოვანი აღმოჩნდება, თუკი საზოგადოება მთლიანობაში მართლაც ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეუდგება და უარს იტყვის მოგებისათვის წარმოებაზე. როცა გაქრება იძულება უნივერსალურად აკეთო მხოლოდ საზოგადოებრივად სასარგებლო, გათავისუფლდე რეგლამენტირებული გამოცდილებისაგან, მაშინ მოთხოვნილებებიც შეიცვლება, რადგან ისინი, დაკმაყოფილებულნი, ახლებს წარმოშობენ, რომლებსაც გარეგანი იძულება აღარ უხელმძღვანელებს.

»*Rien faire comme une bête*, წყალზე იწვედა მშვიდობიანად უცქერდე ცას, ყოფნა, სხვა არაფერი, ნებისმიერი სხვა განსაზღვრებისა და შესრულების გარეშე«<sup>6</sup> – ეს არის იმ მდგომარეობის აღწერა, როცა ადამიანებს აღარ დასჭირდებათ თვითგადარჩნისათვის შრომა, მაშასადამე, არც ბუნების შევიწროება. შერიგებას მიღწეულ საზოგადოებაში თვით ხელოვნებაც აღარ იქნება ჯერაც გარდაუვალი ზოგადი ტანჯვის ამეტყველება (თეზისი 8). ის ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა, უშუალოდ კერძო ადამიანური თავისუფლების რეალიზაციად იქცევა. ამაზე მიუთითებს სწორედ მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა, მათი უარყოფით საზოგადოებრივ მთლიანობაში

---

6 Theodor W. Adorno: *Minima Moralia. Reflexionen aus dem beschädigten Leben*. AGS 4, გვ. 179.

უშუალოდ რეალიზებადებად გარდასახვა კი მათი დამახინჯებული სახის მიღების ტოლფასია.

მოთხოვნილებები საქონლური საზოგადოების იმპერატივებით ფორმირდება მცდარად. ის იდეოლოგიის საგნადქცევით ხასიათდება. სწორედ ეს მოითხოვს განაზრებას, იდეოლოგიის არსი კი მის განსაზღვრებას, რაშიც ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიაა გამოსადეგი. ის წარმოადგენს განივთებული იდეოლოგიის თეორიულ მოდელს, თუმცა ეს მოდელი თავად იდეოლოგიური რჩება. დღეს გვიანდელი პერიოდის კაპიტალიზმს ხომ არც ის ახასიათებს, რომ ერთი კლასი მეორეს ჩაგრავდეს, სახელმწიფო კი ამ დროს მხოლოდ ბოროტ იარაღად გამოიყენებოდეს, რომლის ხელში ჩაგდებითაც შესაძლებელი გახდებოდა საზოგადოების, წარმოების, მოხმარების, სავარაუდოდ, ხალხის სასარგებლოდ უშუალოდ რეორგანიზაცია. პირიქით, თავად შრომა არის პრობლემა. ის ბუნებაზე ბატონობის სახეობაა, მასთან დაპირისპირების ძალა კი არის ინდივიდუალური ადამიანის ლტოლვა, სწორედ რომლის ინდივიდუალუროვე გაშლის დასაცავად აუცილებელია ინდივიდთა თავისუფლად გაერთიანება. საზოგადოებრივ ირაციონალიზმს, პოლიტიკური შეშლილობის ყოველდღიურ ფორმას, გავიგებთ მაშინ, როცა გაანალიზდება, რომ ობიექტურ იდეოლოგიასთან ბრმა დაპირისპირება მისი უარყოფითი მოხსნის მიზნით სწორედ ნაციონალიზმისა და ანტიკა-

პიტალიზმის იმ ნაზავს წარმოშობს, რომლის-  
თვისაც, შემთხვევითი რასიზმებისგან განსხვა-  
ვებით, ისტორიულ მტრად თითქმის გარდაუვლად  
ყველგან არსებული ანტისემიტური სიძულვილის  
ძალით ებრაელები ისახებიან. ანტისემიტიზმის  
საწყისად »განმანათლებლობის დიალექტიკაში«  
»მიმეზისის მიმეზისი« განისაზღვრება. ის სა-  
ზოგადოებრივად ტაბუირებული ბუნების შეუზ-  
ღუდავი იმიტაციის ბრმა იმიტაციაა. მოთოკილი  
მიმეზისის და არარეგლამენტირებული გამოცდი-  
ლების ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზის მიზანია,  
ხელი შეუწყოს მსოფლიოშიც და საქართველოშიც  
პოლიტიკური შეშლილობის გაუქმებას.

»არსებული რელიგია«. იდეოლოგია და  
არარეგლამენტირებული გამოცდილება



როგორც რეალურად არსებულ მისტერიას, ვერ სწვდება და მის შეშლილ არსებობას თავისთავად სიცხადედ მიიჩნევს, უდარდელად ბინადრობს სწორედ იმ »არეში, რომელშიც სამყაროს ყველა საიდუმლო, აზრის ყველა წინააღმდეგობა, გრძნობის ყველა ტკივილი გადაჭრილია«. ტანჯვა, შეურიგებელი საზოგადოების მიერ გამუდმებით გამოწვეული, განიდევნება, მასთან იდენტიფიკაცია თანმიმდევრულად გარდასახულ თეორიაში კი სიცოცხლის ხეა იდეოლოგიის ედემის ბალში.

საქონელი, როგორც ღირებულებისა და სახმარი ღირებულების ერთიანობა, არის არსებული, რომელშიც ობიექტის არაიდენტური თვისებები ნიველირებულია. ისინი მის ამგვარად ფორმირებულ იდენტობას ექვემდებარებიან. ეს იდენტობა, მართალია, თვისებრივი განსაზღვრებაა; ის საზოგადოებრივად არსებულია, თუმცა მისი მახასიათებელი ის არის, რომ ის რაოდენობრივ ურთიერთობაში გამოიხატება. როგორც საცვლელი ღირებულება, ის ფასში გამოვლინდება. კერძო საქონლის სახმარი ღირებულება, ამდენად, სრულებითაც არ არის მისთვის გარეგანი მომენტი. ის მას მეორადად არ ეხვევა თავს. პირიქით, სახმარი ღირებულება გამოხატავს ღირებულებას, რომელიც არაიდენტურს სახმარ ღირებულებად ისე ამზადებს, როგორც ის თითოეულ შემთხვევაში კაპიტალის ურთიერთობაში პროდუქ-

ტიული შრომიდან აღმოცენდება.<sup>172</sup> სწორედ ამ ვითარების აღწერას განიზრახავს ადორნო იმ დებულებით, რომლის თანახმადაც, ღირებულების საზოგადოებრივ განზოგადებასთან ერთად ადამიანები უკვე სახმარი ღირებულებით კი არა, არამედ, თუკი საერთოდ ტკბებიან, მისით მხოლოდ, როგორც საცვლელი ღირებულების გამოხატულებით ტკბებიან. »რაც უფრო დაუნდობლად აცლის საცვლელი ღირებულების პრინციპი ადამიანებს სახმარ ღირებულებას ხელიდან, მით უფრო მჭიდროდ ირგებს თავად საცვლელი ღირებულება ტკბობის საგნის ნიღაბს. [...] საცვლელი ღირებულების გამოვლინებამ საქონლებში განსაკუთრებული შედუღაბების ფუნქცია შეიძინა«.<sup>173</sup> ადორნოს მოგვიანებითი სკეპტიკური მსჯელობაც ამ დებულების შესახებ არსებითად საკუთარ მეთოდს ეხება, არა იმ გარემოებას, რომ საცვალი ღირებულებით ტკბობა ხდება. მისი წვდომა მხოლოდ სოციალური ფსიქოლოგიის კატეგორიებით, »სახელდობრ, ფრონიდის ზოგიერთი კატეგორიის აზრით«<sup>174</sup>, არის შესაძლებელი. ამდენად, ის, მყაცრი აზრით, საზოგადოებრივი ფენომენი არ არის. იმდენად, რამდენადაც სახმარი ღირებულე-

172 Pohrt: Theorie des Gebrauchswerts. §3. 50.

173 Theodor W. Adorno: Über den Fetischcharakter in der Musik und die Regression des Hörens. AGS 14, §3. 14-50, აქ §3. 25 დ.შ.

174 ამ. Theodor W. Adorno: Philosophische Elemente einer Theorie der Gesellschaft. Frankfurt am Main 2007, §3. 76.

ბა საცვლელი ღირებულების საფუძველზე მოდე-  
ლირებული ნივთია, მასთან მხოლოდ გამოყენები-  
თი ურთიერთობა ფსიქოანალიტიკური კვლევის  
საგნად შეიძლება იქცეს. მან შეიძლება აჩვენოს,  
თუ რა მხრივ შეესაბამება არაიდენტური თვისე-  
ბების საგნადქცევა გამოცდილების უნარის ნევ-  
როტულ დაკარგვას.

შესაძლო გამოცდილება კი, საზოგადოებრი-  
ვად კონსტიტუირებული, ამავე დროს, ცნობიე-  
რებასა და, ამდენად, შემეცნების პრაქტიკაში  
რეგლამენტაციას განიცდის, რაც არის შრომა  
მისი კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმით.<sup>175</sup>  
ამიტომ თავად ამ გამოცდილების აგებულება  
არის გასაკრიტიკებელი, ამისათვის კი, რედუცი-  
რებული გამოცდილება ისეთს უპირისპირდება,  
რომელიც მასზე არ დაიყვანება და მის ფარგლებს  
გარეთ გადის. მის წყაროდ, ადორნოს თანახმად,  
»დაუმორჩილებელი მიმეზისი«<sup>176</sup> გვევლინება,  
ბუნების შეუზღუდავი იმიტაცია, რომელიც, რო-  
გორც თვითგადარჩენის საშუალება, საზოგადო-  
ებრივად ინსტრუმენტული გონების პრინციპების  
შესაბამისად მოითოვება. ბუნების ბატონობის  
ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში, არქაუ-  
ლი მიმეზისი პრეისტორიიდან, როგორც ჯადოქ-

175 ob. Klaus-Dieter Oetzel: Wertabstraktion und Erfahrung. Über das Problem einer historisch-materialistischen Erkenntniskritik. Frankfurt am Main 1978.

176 DdA, გვ. 205. // ქართ. გამ.: გვ. 262.

რის ბუნებრივ ძალებთან მიმსგავსების ისეთი მაგიური პრაქტიკა აღმოცენდება, რომელშიც წარმოსახვა და რეალობა ერთმანეთისგან ჯერ ცალსახად არ იმიჯნება.<sup>177</sup> ხელოვნებისა და, შესაბამისად, აზროვნების თავდაპირველი ფორმა მაგიაა.<sup>178</sup> გაბატონებული სუბიექტის გამოთავისუფლება შიშისმომგვრელი ობიექტის კავშირი-დან საკრალურის, მნიშვნელოვანის სფეროს მაგიურ შემოსაზღვრაში მდგომარეობს. ის ჯადოქრის ისტორიამდელი ხატებით შემოიხაზება. აქედან მოყოლებული ცივილიზაციური განვითარება კი არის მიმეზისის შრომის ისტორიულ ფორმად რაციონალიზაცია. შრომაში მდგრადი იდენტური მე, უძრავად ქმნილი ბუნების უძრავივე ანარეკლი, უკვე ჩამოყალიბებულია. მებატონე მეს თვითობა, ადორნოს თანახმად, ცოცხალ კი არა, მოკლულ, მაშასადამე, რეგლამენტის ქვეშ მოქცეულ და, ამდენად, ცარიელ სივრცედ ქცეულ ბუნებასთან გაიგივების პროდუქტია.<sup>179</sup>

»დიალექტიკის განმანათლებლობაში« ადორნო ოდისევსის, ამ პროტოტიპული ბურჟუას მაგალითზე ბატონის მიერ მეს მოპოვებას ენის

177 იბ. Marcel Mauss: *A General Theory of Magic*. Routledge 2005, გვ. 120-150.

178 იბ. Arnold Hauser: *Sozialgeschichte der Kunst und Literatur*. München 1972, გვ. 6-8.

179 იბ. Josef Früchtl: *Mimesis. Konstellation eines Zentralbegriffs bei Adorno*. Würzburg 1986, გვ. 32 დ.3.



სა.გა.ს ნიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!

**მაქს ჭორკვეთამერი და თეოდორ ვ. ადორნო –  
განმანათლებლობის დიალექტიკა. ფილოსოფიური  
ფრაგმენტები**

„განმანათლებლობის დიალექტიკა“ (1944/47-1969) „ფრანკფურტის სკოლის“ კრიტიკული თეორიის ყველაზე დიდი გავლენის მქონე ნაშრომია. წიგნში მოცემულია თანამედროვე საზოგადოების ძირეული კრიტიკა. ცივილიზაციის განვითარების ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია მითოსიდან განმანათლებლობის წარმოშობა და განმანათლებლობის მითოსისენვე შემობრუნება. ნაშრომი წარმოადგენს თანამედროვე სუბიექტის, მისი „თვითის“, ფორმირების ფილოსოფიურ თავდაპირველ ისტორიას და განიხილავს ზნეობრიობისა და უზნეობის თანხვედრას თანამედროვე საზოგადოებაში. ამ წიგნში განხილულია კულტურის ინდუსტრიის მეშვეობით ადამიანთა მასობრივი

მოტიყუების მექანიზმები. ასევე, გაანალიზებულია განმანათლებლობის საზღვრები, რომლებსაც, ნაციონალ-სოციალიზმში განხორციელებული კატასტროფის შედეგად, ანტისემიტიზმის ელემენტები წარმოადგენენ.

პირველ ქართულ თარგმანს თან ახლავს დევიდუმბაძის ნარკვევი იმის ახსნის მცდელობით, თუ რატომ რჩება „განმანათლებლობის დიალექტიკა“ დღესაც აქტუალური.

მაქს ჭორკვეთამერი და თეოდორ ვ. ადორნო

განმანათლებლობის ჩილდენი  
ფილოსოფიური უსაზღვრელი


**ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნაწარმოები მისი  
ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში |  
ისტორიის ცნების შესახებ**

მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება გაეცნოს ქართულ ენაზე ცნობილი ებრაული წარმოშობის გერმანელი ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-1940), ორ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს: »ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში« (1935-1936) და »ისტორიის ცნების შესახებ« (1940).

პირველი წერილი ხელოვნების ნიმუშის »აურის« დაკარგვის ახსნას გვთავაზობს და ამ მოვლენას ტექნიკური რეპროდუცირების პირობებით განსაზღვრავს. ამ ტექსტმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა 1960-იან წლებში და ის ფაქტობრივად იქცა მოწოდებად ხელოვნება გამოეყნებინათ არა ფაშისტური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაციის მიზნით.

**ვალტერ ბენიამინი**  
**ხელოვნების ნაწარმოები**  
მისი ტექნიკური  
რეპროდუცირებადობის  
ეპოქაში

ისტორიის  
ცნების შესახებ



დებად ხელოვნება გამოეყნებინათ არა ფაშისტური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაციის მიზნით.

თეზისები »ისტორიის ცნების შესახებ« თავისებურად აჯამებს მსჯელობას ისტორიული მატერიალიზმის დანიშნულებაზე იმდროინდელი არაორთოდოქსული მარქსიზმის ფარგლებში.

## ძიგა ვერტოვი – ადამიანი კინოპარატით


საბჭოთა ავანგარდისტის, კინოდოკუმენტალისტისა და დოკუმენტური კინოს თეორეტიკოსის, ძიგა ვერტოვის (1896-1954) ტექსტების კრებული »ადამიანი კინოპარატით« აერთიანებს ვერტოვის მიერ დაარსებული შემოქმედებითი ჯგუფის »კინოკების« მანიფესტს – »ჩვენ. მანიფესტის ვარიანტი« (1922), კინო-თეორიულ სტატიებს – »კინოკები. გადატრიალება« (1923), »»კინოთვალიდან« რადიოთვალამდე«« (1929) და სასცენარო ვარიანტს ფილმისათვის »ადამიანი კინოპარატით« (1929). ვერტოვის ფილმი »ადამიანი კინოპარატით« თავისი ნოვატორული კონცეფციით დღე-საც დოკუმენტური კინოს პრაქტიკულ ნიმუშად რჩება.



წიგნს დართული აქვს გერმანელი პროფესორის, საბჭოთა კინოავანგარდის სპეციალისტის, ოქსანა ბულგაკოვას წინასიტყვაობა.

## სერგეი ეიზენშტეინი – ინტელექტუალური მონაზი

საბჭოთა კინემატოგრაფისტისა და ხელოვნების მკვლევ-რის სერგეი ეიზენშტეინის კინომონტაჟის თეორიის ფუნდამენტური ტექსტების წინამდებარე კრებული აერთიანებს მის ადრეულ მანიფესტს »ატრაქციონების მონტაჟი« (1923) და ეიზენშტეინის კინოთეორიის »ინ-ტელექტუალური მონტაჟის« «ცენტრალურ ნაშრომებს – »კადრს მიღმა« (1929), »მეოთხე განზომილება კინოში« (1929) და »კინოფორმის დრამატურგია« (1929). ეიზენ-შტეინის რევოლუციური კინოტრილოგია და მისი მთავარი ფილმი »ჯავშნოსანი პოტიომკინი« (1925) არის მცდელო-ბა »ინტელექტუალური მონტაჟის« პრაქტიკული რეალ-იზაციისა და დღესაც კინორეფლექსის ერთ-ერთ მნიშ-ვნელოვან მაგალითად რჩება.



გამოცემის წინასიტყვა-ობის ავტორია სერგეი ეიზენშტეინის შემოქმე-დების მკვლევარი, გერ-მანელი პროფესორი ოქ-სანა ბულგაკოვა.

## ჰანს ბელერი – კინომოწევის ასპექტები

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, პირკოვი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.

გამოცემას ახლავს კინოსამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრის სიდიდეთა მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველი სქემები.







სა.გა.ს ნიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!